Online Pharmacy –The Advantage and Disadvantage of Its Use and Prospect

Mariam Katcharava[1], Elza Nikoleishvili[2]

The University of Georgia, School of Health Science

[1]The Masters of academic degree of pharmaceutical analysis; [2]Head of Pharmacy undergraduate and master programs; Doctor of Medicine, Professor

Important components of global health are electronic health (e-Health) and the use of Internet space for the treatment of patients –(Telemedicine) In recent years, the purchase of medicines online has become topical (online pharmacy).

The opportunity to purchase medicines online has been around since the 1990s. It has become especially relevant today when the whole world is fighting COWID-19 disease caused by Sars Cov 2 virus. After the decision was made by the Public Health Centers to improve the spread of the infection and prevent the disease, the best defense would be social distancing and quarantine - therefore, in the last few months, worldwide, the use of online pharmacy has increased even more, including in Georgia as well.

Online sales of medicines in Georgia are provided by pharmacy chains - PSP and Aversi.

In many cases, online pharmacy owners themselves are also pharmaceutical manufacturers, which helps to reduce the price of the drug and, consequently, increase the availability.

Trends in the use of Internet pharmacies are observed not only in developed countries such as the United States, Canada, the United Kingdom, etc. But also in developing countries. The obvious advantages of buying medicines on the Internet are buying the medicine you need without leaving home, bringing it to the desired time and place, and keeping it confidential if necessary.

Although online pharmacies have been in operation for more than two decades, research in various countries has revealed a lack of awareness about the purchase of medicines online at pharmacies. However, the attitude of most of the respondents towards the online pharmacy turned out to be positive.

With the help of online pharmacies it is possible not only for medical medicines, but also for cosmetics and care products, baby food, etc. Purchase medical equipment. Today, the use of online pharmacy is facing challenges everywhere, implying the misuse of its services and capabilities. Even in countries with well-developed pharmacovigilance systems, many cases of misuse of online pharmacies have been reported.

It is quite difficult to control unlicensed, illegal online pharmacies, their functioning endangers, first of all, the

ონლაინ ფარმაცია-მისი გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები და პერსპექტივა

მარიამ კაჭარავა[1], ელზა ნიკოლეიშვილი[2]

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

[1] ფარმაცევტული ანალიზის მაგისტრის აკადემიური ხარისხი; [2]ფარმაციის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელ-ლი; მედიცინის დოქტორი, პროფესორი

გლობალური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტებია ელექტრონული ჯანმრთელობა (e-Health) და პაციენტების მკურნალობის მიზნით ინტერნეტ-სივრცის გამოყენება-ტელემედიცინა (Telemedicine). ბოლო წლების განმავლობაში აქტუალური გახდა სამკურნალო მედიკამენტების ინტერნეტ-სივრცით შეძენა-ონლაინ ფარმაცია (online pharmacy).

მედიკამენტების ინტერნეტ-სივრცით შეძენის შესაძლებლობა სათავეს მე- 20 საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს. განსაკუთრებით აქტუალური იგი დღეს გახდა, როცა მთელი მსოფლიო Sars Cov 2 ვირუსით გამოწვეული COWID-19 დაავადებას ებრძვის. მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრებიდან მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ინფექციის კიდევ უფრო გავრცელებისა და დაავადების თავიდან ასაცილებლად ყველაზე უფრო კარგი თავდაცვა იქნებოდა სოციალური დისტანცირება და კარანტინი- შესაბამისად, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, მთელს მსოფლიოში, და მათ შორის, საქართველოშიც, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ონლაინ ფარმაციის გამოყენება. საქართველოში მედიკამენტების ონლაინ გაყიდვას სააფთიაქო ქსელები - პსპ და ავერსი უზრუნველყოფს.

ხშირ შემთხვევაში, ონლაინ-აფთიაქის მფლობელები თავად არიან მედიკამენტის მწარმოებლებიც, რაც ხელს უწყობს მედიკამენტის ფასების შემცირებას და შესაბამისად, ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ინტერნეტ-აფთიაქების გამოყენების ტენდენციები შეინიშნება არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი და სხვ. არამედ, განვითარებად ქვეყნებშიც. ინტერნეტით მედიკამენტების შეძენის გამოკვეთილი უპირატესობებია- საჭირო მედიკამენტის შეძენა სახლიდან გაუსვლელად, მისი სასურველ დროსა და ადგილზე მიტანა, საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალურობის დაცვა.

მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ-აფთიაქები თითქმის ორ ათეულ წელზე მეტია ფუნქციონირებს, სხვადასხვა ქვეყანაში

health of the patient, and then his financial situation. The biggest threat to modernity, including the most important, is the misuse of drugs, opioids, tranquilizers, and sleeping pills for the younger generation. Unlicensed (illegal) online pharmacies can be considered a special threat in this direction.

The positive side of working in online pharmacies is the ability to store and analyze a large amount of data across the country about the need and turnover of medicines; It is also possible to sort the data according to the age of the patient and the nosologies of disease, the use of which will be very useful when planning a public health policy.

Of course, along with the development of e-health and telemedicine, the prospect of developing online pharmacy is huge. Only its work will require the licensing of online pharmacies and employed pharmacists, the protection of pharmacological safety and the promotion of patient education.

Keywords: E-health, Online Pharmacy, Pharmacovigilance.

References:

1. Nasser F. Alfahad, Mohammed T. Albelali , Fowad M. Khurshid, Mohammed N. AL-Arifi, Abdlatif A. AL-Dhavaili, Mohammed S. Alsultan; Perception and knowledge to online Pharmacy services among consumers in Riyadh, Saudi Arabia: a pilot survey; Latin American Journal of Pharmacy; 34 (6): 1113-1138, 2015.
2. Michael Gabay; Regulation of Internet Pharmacies: A Continuing Challenge; Hospital Pharmacy 50(8): 681–682, 2016.
3. Chetna Desai; Online pharmacies: A boon or bane; Indian Journal of Pharmacology 48(6): 615–616, 2016.
4. András Fittler; Róbert György Vida, Mátyás Káplár, Lajos Botz; Consumers Turning to the Internet Pharmacy Market: Cross-Sectional Study on the Frequency and Attitudes of Hungarian Patients Purchasing Medications Online; Journal of Medical Internet Research, 20(8): e11115, 2018.
5. US Food and Drug Administration (2004) Re-cent FDA/U.S. Customs Import Blitz Exams Continue to Reveal Potentially Dangerous Ille-gally Imported Drug Shipments. January 27,2004.
6. Dr.Gerald L. Kovacich, Dr.Andy Jones, in High-Technology Crime Investigator's Handbook (Second Edition), 2006.
7. Michael Finney, As patients shop online for prescriptions during pandemic, fake online pharmacies multiply, May 24, 2020.

ჩატარებული კვლევევებით ონლაინ აფთიაქში მედიკამენტების შეძენის შესახებ ინფორმირებულობის დეფიციტი მაინც გამოვლინდა. თუმცა, გამოკითხულთა უმეტესობის დამოკიდებულება ონლაინ -აფთაიქთან მიმართებით პოზიტიური აღმოჩნდა. ონლაინ-აფთიაქის საშუალებით შესაძლებელია არა მარტო სამკურნალო მედიკამენტების, არამედ კოსმეტიკური და მოვლის საშუალებების, ბავშვთა კვების, სამკურნალო მოწყობილობებისა და სხვ. შეძენა. დღეისათვის, ონლაინფარმაციის გამოყენება ყველგან გამოწვევების წინაშე დგას, იგულისხმება მისი სერვისებისა და შესაძლებლობების არასწორი, არაჯეროვანი გამოყენება. ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც კარგად არის განვითარებული ფარმაკოუსაფრთხოების სისტემა- ონლაინ ფარმაციის არასწორად გამოყენების უამრავი შემთხვევა ფიქსირდება. არალიცენზირებული, არალეგალური ონლაინაფთიაქების კონტროლი საკმაოდ რთულია, მათი ფუნქციონირება საფრთხის ქვეშ აყენებს, პირველ რიგში, პაციენტის ჯანმრთელობას, ხოლო შემდეგ მის ფინანსურ მდგომარეობას.

თანამედროვეობის უდიდეს საფრთხეს, მათ შორის, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, წარმოადგენს ახალაგაზრდა თაობის მიერ ნარკოტიკული საშუალებების, ოპიოიდების, ტრანკვილიზატორებისა და საძილე საშუალებების არასწორი, არამიზნობრივი გამოყენება. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ საფრთხედ შეიძლება მოვიაზროთ არალიცენზირებული (უკანონო) ონლაინ- აფთიაქები.

ონლაინ აფთიაქების მუშაობის დადებით მხარედ გამოიკვეთა ქვეყნის მასშტაბით დიდი რაოდენობით მონაცემების შენახვისა და გაანალაიზების შესაძლებლობა მედიკამენტების საჭიროებისა და ბრუნვის შესახებ, ასევე შესაძლებელია მონაცემების დახარისხება პაციენტის ასაკისა და დაავადებათა ნოზოლოგიების მიხედვით,რისი გამოყენებაც ძალიან სასარგებლო იქნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის დროს.

რა თქმა უნდა, ელექტრონული ჯანდაცვისა და ტელემედიცინის განვითარების პარალელურად დიდია ონლაინ ფარმაციის განვითარების პერსპექტივა. მხოლოდ მისი გამართული მუშაობისათვის აუცილებელი იქნება ონალინ აფთიაქებისა და დასაქმებული ფარმაცევტების ლიცენზირება, ფარმაკოუსაფრთხოების დაცვა და პაციენტების განათლების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ჯანმრთელობა, ონლაინ ფარმაცია, ფარმაკოუსაფრთხოება.